

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის“
დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის
2014 წლის 19 ივნისის N----- ბრძანების

დანართი №1



ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის“

აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად
კონკურსის ჩატარების წესი

შეთანხმებულია:

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2014 წლის 16 ივნისის დადგენილებით (სხდომის ოქმი N35)

რექტორი: პროფ. სერგო ვარდოსანიძე _____

დამტკიცებულია:

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის“
დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის
2014 წ. 19 ივნისის N ---- ბრძანებით

მეუფე იაკობი (იაკობიშვილი) _____

ბ.ა.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის“ (შემდგომში „**უნივერსიტეტი/ქართული უნივერსიტეტი**“) აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი (შემდგომში „**წესი**“) შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის“ წესდებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.
2. წესი არეგულირებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის არჩევას გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.
3. წესი შემუშავებულია, რათა მასში გათვალისწინებული დებულებებისა და პროცედურების საშუალებით უზრუნველყოფილი იყოს უნივერსიტეტის მოთხოვნებისა და კონკურსანტის ნიჭის, უნარების, პოტენციალისა და შესაძლებლობების ობიექტური შეფასება, მათი ურთიერთმიჯვრება და უნივერსიტეტის მიზნების მისაღწევად შრომითი ურთიერთობის საფუძველზე თანამშრომლობის დამყარება.

მუხლი 2. საკონკურსო თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები

1. უნივერსიტეტის პროფესორად, 4 (ოთხი) წლის ვადით, შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.
2. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად, 4 (ოთხი) წლის ვადით, შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.
3. უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორად, 3 (სამი) წლის ვადით, შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.
4. უნივერსიტეტის ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 (სამი) წლის ვადით.

მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება

1. პროფესორის, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის, ასევე ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი ცხადდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და მაღალრეიტინგულ სპეციალურ ინტერნეტ ვებ-გვერდზე ან საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებად პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. ზუსტი ვადა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
3. კონკურსის ჩატარების სხვა აუცილებელი ვადები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საკონკურსო ვადა სრულდება უნივერსიტეტისათვის არასამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეს, კონკრეტული საკონკურსო ვადის დასრულების დღედ ითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

მუხლი 4. საკონკურსო კომისია

1. კონკურსს ატარებს საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობა მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
2. საკონკურსო კომისია საკუთარი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით, ღია კენჭისყრის წესით ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.
3. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე წარმართავს და ხელმძღვანელობს კომისიის მუშაობას.

4. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ამავე კონკურსში მონაწილეობს კონკურსანტის სტატუსით.
5. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 2/3.
6. კომისია თავის შესასრულებელ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრის წესით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
7. საკონკურსო კომისიის საქმიანობა აისახება საკონკურსო კომისიის ოქმებში, რომელთაც ადგენს კომისიის მდივანი და ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის ყველა წევრი კომისიის სხდომაში მონაწილეობის მიღებას ადასტურებს სხდომაზე დასწრების ფურცელზე ხელმოწერით, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი ოქმის განუყოფელ ნაწილს. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
8. საკონკურსო კომისიის სხდომა დახურულია.
9. საკონკურსო კომისიის ყველა წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ კონკურსის შედეგების დამტკიცებამდე.

მუხლი 5. სააპელაციო კომისია

1. კონკურსანტთა პრეტენზიების განსახილველად იქმნება სააპელაციო კომისია, რომელიც იქმნება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით კონკურსის შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში, გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის დასრულებისთანავე.
2. სააპელაციო კომისია საკუთარი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით, ღია კენჭისყრის წესით ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.
3. სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე წარმართავს და ხელმძღვანელობს კომისიის მუშაობას.
4. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია კონკურსანტის სააპელაციო განცხადების საფუძველზე გადასინჯოს საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.
5. სააპელაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ამავე კონკურსში მონაწილეობს კონკურსანტის სტატუსით.
6. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 2/3.
7. სააპელაციო კომისია თავის შესასრულებელ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრის წესით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
8. სააპელაციო კომისიის საქმიანობა აისახება სააპელაციო კომისიის ოქმებში, რომელთაც ადგენს კომისიის მდივანი და ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის ყველა წევრი კომისიის სხდომაში მონაწილეობის მიღებას ადასტურებს სხდომაზე დასწრების ფურცელზე ხელმოწერით, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი ოქმის განუყოფელ ნაწილს. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
9. სააპელაციო კომისიის სხდომა დახურულია.
10. სააპელაციო კომისიის ყველა წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ კონკურსის შედეგების დამტკიცებამდე.

მუხლი 6. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია, საკონკურსო დოკუმენტაცია, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით, წარადგინოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების ფუნქციის განმახორციელებელ შესაბამის სამსახურში.
2. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კონკურსში მონაწილეობისათვის ვალდებულია წარადგინოს შემდეგი საკონკურსო დოკუმენტაცია:

- ა) განცხადება (წინამდებარე ბრძანების დანართი №2) კონკურსში მონაწილეობის შესახებ (კონკურსში მონაწილეობის მსურველის მხრიდან დაუშვებელია წარდგენილ იქნეს ერთზე მეტი განცხადება ერთზე მეტ საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე);
- ბ) შევსებული კონკურსანტის ანკეტა (წინამდებარე ბრძანების დანართი №3), რომლის შევსების წესის დაცვა სავალდებულოა;
- გ) უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტაცია.
3. კონკურსანტის შევსებული ანკეტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით.
4. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ ანკეტა შევსებული უნდა იქნეს სრულად და მას უნდა ერთვოდეს ანკეტაში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა აუცილებელი დოკუმენტი ან მასალა (ოფიციალური დოკუმენტების შემთხვევაში ორიგინალის ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლის სახით).
5. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.
6. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ წარდგენილი კონკურსანტის ანკეტა და დოკუმენტები მოწმდება და ილუქება უნივერსიტეტის საქმისწარმოების ფუნქციის განმახორციელებელი შესაბამისი სამსახურის უფროსის მიერ, კონკურსანტის თანდასწრებით.

მუხლი 7. საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება

1. საკონკურსო დოკუმენტაცია უნივერსიტეტის საკონკურსო კომისიას გადაეცემა უნივერსიტეტის საქმისწარმოების ფუნქციის განმახორციელებელი შესაბამისი სამსახურის მიერ განცხადებების მიღების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს მესამე დღისა დალუქულ მდგომარეობაში.
2. საკონკურსო დოკუმენტაცია იხსნება საკონკურსო კომისიის სხდომაზე.
3. საკონკურსო კომისია ამოწმებს კონკურსანტის განცხადების, კონკურსანტის ანკეტისა და დოკუმენტაციის სისრულესა და შესაბამისობას ამ წესის მე-6 მუხლში მოყვანილ მოთხოვნებთან მიმართებით და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.
4. საკონკურსო კომისია ამოწმებს კონკურსანტის ანკეტის ინფორმაციის სისწორეს და პლაგიატობის ან სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.
5. კომისია კონკურსანტის ანკეტაში მოცემული ინფორმაციის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სხვა სახის ინფორმაციის საფუძველზე აფასებს კონკურსანტს და აფასებს მას საკონკურსო კომისიის მუშაობის რეგლამენტით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმებისა და ფორმის შესაბამისად (წინამდებარე ბრძანების დანართი №4), გარდა წინამდებარე წესის ამავე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
6. ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან კონკურსანტის შეუსაბამობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია კონკურსანტი სხვა კატეგორიებში არ შეაფასოს და მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.
7. კონკურსანტთა ანკეტისა ან/და შეფასების ფორმის, აგრეთვე, მათში არსებული ინფორმაციის ნებისმიერი სახითა თუ ფორმით გაცემა სხვა პირზე დაუშვებელია, იმ კონკურსანტის წერილობითი თანხმობის გარეშე, ვისი ანკეტა ან/და შეფასების ფორმა ან მათში არსებული ინფორმაცია არის მოთხოვნილი.

მუხლი 8. გასაუბრება

1. საკონკურსო კომისია ყველა შესაფასებელი კონკურსანტის შეფასების ეტაპის დასრულების შემდგომ, კონკურსში მონაწილე თითოეულ კონკურსანტთან ატარებს ზეპირ გასაუბრებას და აფასებს მათ საკონკურსო კომისიის მუშაობის რეგლამენტით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმებისა და ფორმის შესაბამისად.
2. კონკურსანტი ვალდებულია გამოცხადდეს გასაუბრებაზე მისთვის განსაზღვრულ დროს. კონკურსანტის მიერ ერთ საათზე მეტი ხნით, არასაპატიო მიზეზით, დაგვიანება ითვლება გასაუბრებაზე გამოუცხადებლობად.
3. გასაუბრება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც კითხვა-პასუხის, ასევე კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში კონკურსანტის მიერ გარკვეული საკითხების მოკლე მიმოხილვის სახით.
4. გასაუბრების მოკლე მიმოხილვა აისახება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში.
5. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია თანაბარი ქულების მქონე კონკურსანტების არსებობის შემთხვევაში ან თავისი შეხედულებისამებრ, მოსთხოვოს მათ საჯარო ლექციის/ლექციის ჩატარება და გადაწყვეტილება მათ შორის საუკეთესოს გამოსავლენად მიღოს კონკურსანტების მიერ ლექციის ჩატარების ხარისხის შესაბამისად.
6. კონკურსანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა და საჯარო ლექციაზე/ლექციაზე გამოუცხადებლობა ან მის ჩატარებაზე უარის თქმა წარმოადგენს კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.

მუხლი 9. კონკურსანტის შეფასება

1. საკონკურსო კომისია თითოეული კონკურსანტის შეფასებას ახდენს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესის დანართი-რეგლამენტით განსაზღვრული მეთოდებისა და კრიტერიუმების შესაბამისად.
2. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით ყოველი კონკურსის გამოცხადებისას შესაძლოა დადგინდეს წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულის გარდა დამატებითი მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები, რომლებითაც ვალდებულია იხელმძღვანელოს საკონკურსო კომისიამ კონკურსანტთა შეფასებისას და გამარჯვებულ/ებ/ის გამოვლენისას.

მუხლი 10. გადაწყვეტილების მიღება და გამარჯვებულ/ებ/ის გამოვლენა

1. წინამდებარე წესის მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია ახდენს კონკურსის შედეგების ურთიერთშეჯერებას, შეფასებას და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულ/ებ/ის გამოვლენის შესახებ.
2. აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულის გამოვლენის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის მიერ ღია კენჭისყრის წესით. ერთ საკონკურსო თანამდებობაზე წარმოდგენილი კონკურსანტები ფასდებიან და კენჭი ეყრებათ ცალ-ცალკე და კომისიის თითოეული წევრი აფიქსირებს თავის პოზიციას თითოეულ კონკურსანტთან დაკავშირებით. გამარჯვებულად ცხადდება კონკურსანტი, რომელიც მიიღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
3. იმ შემთხვევაში, თუ ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობაზე არ იქნა მიღებული არც ერთი განცხადება, ამ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსი ითვლება ჩაშლილად და დგება საკონკურსო კომისიის შესაბამისი ოქმი. ამავე წესის შესაბამისად, ცხადდება ახალი კონკურსი.
4. კომისიის წევრი არ სარგებლობს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით.
5. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება კონკურსანტ/ებ/ის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ ფორმდება კომისიის შემაჯამებელი ოქმით.
6. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ეცნობება ყველა კონკურსანტს გასაჩივრების ვადის მითითებით.

მუხლი 11. აპელაცია

1. კონკურსანტის მიერ სააპელაციო განცხადება კონკურსის შედეგების გასაჩივრების შესახებ სააპელაციო კომისიის სახელზე შეიძლება წარმოდგენილ იქნას კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან სამი კალენდარული დღის ვადაში უნივერსიტეტის საქმისწარმოების ფუნქციის განმახორციელებელ შესაბამის სამსახურში, რომელიც სააპელაციო განცხადების შემოტანის ვადის დასრულებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში გადასცემს მას სააპელაციო კომისიას;
2. სააპელაციო განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:
 - ა) სააპელაციო კომისიის დასახელება;
 - ბ) საკონკურსო კომისიის დასახელება;
 - გ) საკონკურსო კომისიის გასაჩივრებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები;
 - დ) სააპელაციო განცხადების შემომტანი პირის სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი;
 - ე) სააპელაციო განცხადების შემომტანი პირის სტატუსი;
 - ვ) დარღვევის შინაარსი;
 - ზ) სააპელაციო განცხადების შემომტანი პირის მოთხოვნა;
 - თ) განცხადების შემომტანი პირის ხელმოწერა და განცხადების შემოტანის თარიღი.
3. სააპელაციო კომისია სააპელაციო განცხადებას იხილავს მისი წარდგენის ვადის ამოწურვიდან სამი კალენდარული დღის ვადაში და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია, შეცვალოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება და შესაბამისი შუამდგომლობა წარუდგინოს უნივერსიტეტის რექტორს. მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

1. საკონკურსო კომისიის მიერ მუშაობის დასრულების შემდეგ შუამდგომლობა წარედგინება რექტორს კონკურსანტთა დანიშვნის შესახებ, ხოლო რექტორი გადაწყვეტილებას გამარჯვებულთა დანიშვნის შესახებ იღებს სააპელაციო პროცედურების დასრულების შემდეგ. იმ შემთხვევაში თუ გასაჩივრების ვადა ამოწურა და არ იქნა აპელაციაზე განაცხადი შემოტანილი, რექტორი გამოსცემს აქტს კომისიის მიერ წარდგენილი პირების თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, ხოლო თუ გასაჩივრების ვადის ამოწურვამდე წარმოდგენილი იქნა სააპელაციო განაცხადი, რექტორის ბრძანება გამარჯვებულთა დანიშვნის შესახებ გამოიცემა მხოლოდ სააპელაციო კომისიის მიერ მუშაობის დასრულებისა და შედეგების წარდგენის შემდეგ.
2. კონკურსის საბოლოო შედეგები მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, რისი გამოცემის შემდგომაც საკონკურსო კომისია და სააპელაციო კომისია წყვეტს საქმიანობას.